ქეთევან ადეიშვილი, თემურ ხუციშვილი

ტუშას უნივერსიტეტი, იტალია

2025 წლის 5-9 მაისს, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს Erasmus+ პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, იტალიის ქალაქ ვიტერბოში, ტუშას უნივერსიტეტში, გამართულ საერთაშორისო პერსონალის კვირეულში.

ვიზიტის ფარგლებში მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ როგორც პროფესიულ, ასევე კულტურულ აქტივობებში, რომლებიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარებას.

კვირეულის განმავლობაში წარმოდგენილი იყო თემატური პრეზენტაციები უნივერსიტეტის საერთაშორისო პროექტებზე, ორმაგი ხარისხის პროგრამებზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობაზე, ასევე ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და წარდგენილი იყო ახალი პროექტი მონაცემთა ჟურნალისტიკაში.

მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ Tuscia-ს უნივერსიტეტის კამპუსი, გასაუბრებოდნენ ადმინისტრაციულ პერსონალს და მიეღოთ მონაწილეობა მრგვალი მაგიდის დისკუსიებში, რომლებიც შეეხებოდა მობილობის გაუმჯობესებასა და ორმაგი ხარისხის პროგრამების განვითარების შესაძლებლობებს.

Tuscia-ს უნივერსიტეტში ვიზიტმა მნიშვნელოვნად გააღრმავა კავშირები უნივერსიტეტებს შორის და შექმნა მტკიცე საფუძველი სამომავლო თანამშრომლობისთვის.

ამ ტიპის მობილობა სრულად ემსახურება Erasmus+ პროგრამის მიზნებს — ხელი შეუწყოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, კულტურულ გაცვლასა და პროფესიულ განვითარებას უმაღლესი განათლების სფეროში.